სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ქუთაისის „ბაგრატი“ - წყალტუბოს „დინოზავრი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	11/11/2023	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გაგა გურეშიძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, ლევან ბიბიჩაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.6 : საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	20/11/20203	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☐ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	

განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის საითინგი

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, ლევან ბიბიჩაძის საითინგი;
2. მატჩის მსაჯებთან, ლევან ბიბიჩაძესთან და დავით ბალუაშვილთან (კიდის მსაჯი) ონლაინ შეხვედრის(ზუმი) ვიდეოჩანაწერი;
3. ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელის, გიორგი კიკვაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელმა, გიორგი კიკვაძემ დაადასტურა „ბაგრატი“-ს მწვრთნელის, გაგა გურეშიძის მიერ საითინგში აღნიშნული ფაქტი. კერძოდ, რომ გაგა გურეშიძემ გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება „ბაგრატი“-ს ლელოს გაუქმების შესახებ კიდის მსაჯის მიერ დაფიქსირებული „ბაგრატი“-ს მოთამაშის თამაშგარე მდგომარეობიდან თამაშის გამო და მიმართა კიდის მსაჯს რეპლიკით „ამ მომენტს ამოვჭრი გავაგზავნი და სამსახურს დაგატოვებინებენ“. გიორგი კივაძემ აღნიშნა რომ ეს მიმართვა არ იყო რაიმე სახით მუქარის შემცველი.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 11/11/2023 გაიმართა I ლიგის VII ტურის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი“-სა და წყალტუბოს „დინოზავრს“ შორის.
2. მატჩის მსაჯებთან, ლევან ბიბჩაძესთან და დავით ბალუაშვილთან (კიდის მსაჯი) ონლაინ შეხვედრის(ზუმი) ვიდეოჩანაწერის მიხედვით - ქუთაისის ბაგრატის მწვრთნელმა, გაგა გურეშიძემ გააპროტესტა მსაჯების გადაწყვეტილება, „ბაგრატი“-ს ლელოს გაუქმების შესახებ და კიდის მსაჯს დავით ბალუაშვილს მიმართა „ ამ მომენტს ამოვჭრი გავაგზავნი და სამსახურს დაგატოვებინებენ“.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შემდეგ, დადგენილად ცნო ქუთაისის „ბაგრატი“-ს მწვრთნელის, გაგა გურეშიძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის (საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;) დარღვევა.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	2 (ორი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	22/11/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	10/12/2023 (I ლიგის საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.	კლუბ ქუთაისის „ბაგრატს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 200(ორასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 22 დეკემბრამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პროვნებას ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	22/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**